კონკურსი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრობის კანდიდატთა შესარჩევად

1) საბჭოს დასახელება:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო

2) შესარჩევ კანდიდატთა რაოდენობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრების მიზანშეწონილი რაოდენობა:
მუდმივი წევრი - 17;
მოწვეული წევრი - 17.

ბ) საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრობის კანდიდატები შეიძლება იყვნენ საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმითა და კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით დაფუძნებული უმაღლესი საგანმანთლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები (ადმინისტრაციული, სასწავლო/აკადემიური, სამეცნიერო პერსონალი), დამსაქმებელთა წარმომადგენლები, განათლების მიმართულებით მომუშავე სამოქალაქო (არასამთავრობო) სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, სტუდენტი, აგრეთვე, სამეცნიერო კვლევითი დაწესებულების სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენლები, რომლებსაც გააჩნიათ საგანმანათლებლო დაწესებულების ინსტიტუციური განვითარების ან/და საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიმართულებით სათანადო ცოდნა.

გ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმითა და კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენელი (ადმინისტრაციული, სასწავლო/აკადემიური, სამეცნიერო პერსონალი), აგრეთვე, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენელი, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

- დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- სასწავლო/აკადემიური ან სამეცნიერო შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 10-წლიანი გამოცდილება;
- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების სპეციფიკის ცოდნა და/ან ამ პროცესებში მონაწილეობის გამოცდილება.

დ) დამსაქმებელთა, ასევე განათლების მიმართულებით მომუშავე სამოქალაქო (არასამთავრობო) სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

- მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- შესაბამის სფეროში საშუალო ან ზედა რგოლის მენეჯერულ პოზიციებზე მუშაობის გამოცდილება;
- საბჭოს წევრობის კანდიდატად წარდგენის დროისთვის მოქმედი დამსაქმებლის სტატუსის ქონა.

ე) სტუდენტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

- არანაკლებ მაგისტრატურის სტუდენტის სტატუსის (აქტიური) ქონა;
- მაღალი აკადემიური მოსწრება;
- სტუდენტურ და საგანმანათლებლო აქტივობებში ჩართულობა.

საბჭოს მოწვეული წევრების კანდიდატების შერჩევისას ცენტრი იყენებს სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) მიერ დადგენილ მოთხოვნებსა და კრიტერიუმებს.

შენიშვნა: საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის მოწვეული წევრის წარდგენისას შესაბამის განცხადებაში ფრჩხილებში მიეთითება სიტყვა „მოწვეული“.

3) საბჭოს წევრის ფუნქციები:
საბჭოს წევრის ფუნქციები განსაზღვრულია „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით.

4) განცხადების წარდგენის ვადა და წესი:
ა) საბჭოს წევრობის კანდიდატის წარდგენის შესახებ განცხადება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) შესაძლებელია წარადგინოს იურიდიულმა ან ფიზიკურმა პირმა:

- იურიდიული პირის მიერ საბჭოს წევრობის კანდიდატის წარდგენის შემთხვევაში, ცენტრს წარედგინება განცხადება (დანართი N1);
- ფიზიკური პირის მიერ მიმართვის შემთხვევაში ცენტრს წარედგინება განცხადება (დანართი N2).

ბ) განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტები:

- ავტობიოგრაფია (CV);
- ცნობა სამუშაო ადგილიდან;
- ცნობა სტუდენტის აქტიური სტატუსის შესახებ (სტუდენტის შემთხვევაში);
- უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (საკვალიფიკაციო მოთხოვნის შესაბამისად);
- კანდიდატის წერილობითი თანხმობა შესაბამისი საბჭოს წევრობის შესახებ (სავალდებულოა, თუკი, განცხადებას წარმოადგენს იურიდიული პირი).

გ) განცხადების შემოტანის ვადა - **2024 წლის 15 იანვრიდან 2024 წლის 29 იანვრის ჩათვლით.**

5) დამატებითი ინფორმაცია:
- აკრედიტაციის საბჭოს მუდმივი წევრი არ შეიძლება იყოს საჯარო მოხელე;
- შესარჩევი კომისია უფლებამოსილია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სრულად დაკომპლექტების მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მუდმივი წევრობის კანდიდატი, მისი თანხმობით განიხილოს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მოწვეული წევრობის კანდიდატად. ასევე, შესარჩევი კომისია უფლებამოსილია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მოწვეული წევრობის კანდიდატი, მისი თანხმობით განიხილოს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მუდმივ წევრობის კანდიდატად;

- შესარჩევი კომისია უფლებამოსილია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრობის კანდიდატი, მისი თანხმობით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სრულად დაკომპლექტების მიზნით, განიხილოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრობის კანდიდატად;
- აკრედიტაციის საბჭოს მუდმივ წევრთა უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება ერთი წლით, ხოლო მოწვეულ წევრთა უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება ორი წლით;
- შესარჩევი კომისია, საჭიროების შემთხვევაში, უფლებამოსილია საბჭოს წევრობის კანდიდატს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტი ან/და მოითხოვოს მასთან გასაუბრების ჩატარება.

განცხადებების მიღება წარმოებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ელექტრონული ფოსტის - jobs@eqe.ge - მეშვეობით.

კითხვების არსებობის შემთხვევაში, შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ზემოაღნიშნულ ელექტრონულ ფოსტაზე, ან დაგვირეკოთ შემდეგ ნომერზე: 2 02 21 21 .